საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 96

14 07 2016 წელი

ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 ივლისის სხდომის N12 ოქმის მე-10 საკითხის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 1 ივნისის N7/27360 წერილის გათვალისწინებით

1. დამტკიცდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისია შემდეგი შემადგენლობით: კომისიის თავმჯდომარე - **ჯოშგუნ ზეინალოვი,** მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, კომისიის წევრები: **ქამილ ალიევი** - მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი; **ვაჟა ასლანიშვილი**-სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის მთავარი სპეციალისტი; **როენა ახობაძე** - მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი; **გიორგი კავლელაშვილი**-მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი; **მატინ ალიევი** -მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი. ასევე კომისიას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაემატოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი და გამგებლის წარმომადგენელი.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 სექტემბრის N128 განკარგულება.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ვალერი მეტრეველს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი